**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო წრე**

ლიტერატურის სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი, ასისტენტ პროფესორი - თინათინ თუშაბრამიშვილი

ელ. ფოსტა: tinitu@mail.ru

ტელ.: 592-08-07-00

წლების განმავლობაში იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ტრადიციად იყო დამკვიდრებული სტუდენტების ჩაბმა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განახლდა დროებით შეჩერებული ქართული ლიტერატურის სამეცნიერო წრე.

ლიტერატურის სამეცნიერო წრე სტუდენტური გუნდია, რომლებშიც გაწევრიანებულნი არიან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე და სამეცნიერო საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტები.

სამეცნიერო წრის წევრთა რაოდენობა არ არის განსაზღვრული. ის ღია ორგანიზაციაა, მსურველებს შეუძლიათ დაესწრნენ და წრის წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო დისკუსიებში. სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრობა სტუდენტებისათვის ნებაყოფლობითია. სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მოიაზრება უნივერსიტეტის სამივე საფეხურის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის) სტუდენტების გაერთიანება.

ლიტერატურულ-სამეცნიერო წრის მუშაობას კურირებს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი თინათინ თუშაბრამიშვილი.

ლიტერატურის სამეცნიერო წრის შეკრებათა განრიგი და დღის წესრიგი განისაზღვრება წინასწარი სამუშაო გეგმით.

**სტუდენტთა სამეცნიერო წრის მიზნებია:**

1. სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის სათანადო გარემოს შექმნა;
2. სტუდენტის სამეცნიერო საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს მის ინტერესთა სფეროს;
3. სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და განვითარება;
4. სტუდენტთათვის სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა;

5. სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობა;
6. ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა უნივერსიტეტთა სტუდენტთა სამეცნიერო ორგანიზაციებთან.
7. სტუდენტებს შორის სამეცნიერო კონფერენციების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
8. სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების ხელშეწყობა;
9. წრის წევრები შეხვედრებს დაგეგმავენ ცნობილ ლიტერატორებთან და მწერლებთან.

**სამეცნიერო ხელმძღვანელობა**

1. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;
2. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ვალდებულია, სტუდენტებს დაეხმაროს მათთვის საინტერესო საკვლევი თემატიკის შერჩევაში; სამეცნიერო ხელმძღვანელთან დაკავშირებაში; წრის ხელმძღვანელს ევალება სხდომებისა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება და მათი მუშაობის განრიგის შემუშავება, სექციათა გახსნა-დახურვა, სექციათა ანგარიშების შეჯამება, გამარჯვებულთა დაჯილდოება , სტუდენტთა ნაშრომების გამოცემის ორგანიზება და სხვა საკითხები.
3. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ლიტერატურის ყველა სპეციალისტი ვალდებულია აქტიურად ჩაებას ლიტერატურულ-სამეცნიერო წრის მუშაობაში.

**ლიტერატურის სამეცნიერო წრე უფლებამოსილია:**

1. მოისმინოს წრის წევრთა სამეცნიერო მოხსენებები;
2. შეარჩიოს მოხსენებები სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გასატანად;
3. ორგანიზება გაუწიოს სტუდენტთა დისკუსიებს სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით.

სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასასრულს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტს წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.